პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 206 (3183) 22 ოქტომბერი, შაბათი. 1966 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## მასპინძლები პირველ ადგილზე

გურჯაანში გაიმართა საქართველოს IV საიუბილეო სპარტაკიადის აღმოსავლეთის ზონის მძლეოსანთა შეჯიბრება. სამდღიან ტურნირში ასპარეზობდნენ ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, მცხეთის, ახმეტის, დუშეთისა და სხვა რაიონების სპორტსმენები.

ზოგიერთმა რაიონმა სრული გუნდის ნაცვლად ტურნირზე რამდენიმე სპორტსმენი მოავლინა, რის გამო ისინი მხოლოდ პირად პირველობაში მონაწილეობდნენ. შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი ათლეტი გამოავლინა. განსაკუთრებით ქების ღირსია ბორჯომელი გოგონა მ. თვაური, რომელმაც გაიმარჯვა 100 (13,9 წამი) და 200 მეტრზე (30,1) რბენაში და მოიგო სიგრძეზე ხტომა — 468 სმ.

ორი I ადგილი დაისაკუთრა ხაშურელმა ნ. ტალახაძემ. 400 მეტრზე ქალთა რბენაში მან აჩვენა 1.07,0, ხოლო სიმაღლეზე ხტომაში — 140 სმ.

ქალებს არც ვაჟები ჩამორჩნენ. ახალციხელმა გ. ზადოიანმა ორივე სპრინტერული დისტანცია მოიგო. 100 მ ზუსტად 12 წამში გაირბინა, ხოლო 200 მ — 25,2 წამში. ორმაგი გამარჯვება მოიპოვა მცხეთელმა ლ. არეშიძემაც. იგი პირველი იყო შუბისა (61,50) და ხელყუმბარის (61,40) ტყორცნაში. საერთოდ, ტყორცნაში ბრძოლა ძალიან დაძაბულად მიმდინარეობდა და პრიზიორთა შედეგებში სხვაობა სულ მცირე იყო.

აი, სხვა სახეობებში გამარჯვებულნი: ქალთა შორის: 800 მ რბენა — ზ. ბერიძე (ახალციხე) — 2.43,1, ესტაფეტა 4×100 მ — ახალციხე — 1.00,6. ბადროს ტყორცნა — ე. პაპაშვილი (მცხეთა) — 28,24, ბირთვის კვრა — ს. ყარალოვა (ახმეტა) — 9,02, შუბის ტყორცნა — ნ. ჭიკაიძე (დუშეთი) — 32,44. ვაჟთა შორის: 400 მ რბენა — ა. ბარიგინი (გარდაბანი) — 57,9, 800 მ — ე. რობკოვი (ლაგოდეხი) — 2.10,9, 1.500 მ — ვ. ბუდილოვი (წალკა) — 4.42,5, ესტაფეტა 4×100 მ — ახალციხე — 50,2, სიგრძეზე ხტომა — ო. მოსიკაშვილი — 620 სმ, სიმაღლეზე ხტომა — ა. წამალაშვილი და ო. მოსიკაშვილი (ყველანი — გარდაბანი) — 175 სმ, სამხტომი — ი. გადარჩენიშვილი (გურჯაანი) — 12,75, ბადროს ტყორცნა და ბირთვის კვრა — მ. უამგოციანი (ხაშური) — 38,43 და 12,22. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს მასპინძლებმა, რომლებმაც რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მეორენი იყვნენ გარდაბნის მძლეოსნები, მესამენი — მცხეთელები.

ტურნირი მძლეოსნობის ყველა სახეობაში არ გამართულა, ვინაიდან სპარტაკიადის დებულების შემდგენლებმა სწორედ გაითვალისწინეს რაიონების შესაძლებლობანი. შეჯიბრება კარგად ჩაატარა მსაჯთა კოლეგიამ, რომელსაც რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ბ. ტყეშელაშვილი ედგა სათავეში.

**დ. ნაცვლიშვილი,**
გურჯაანის სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

**ბ. სვანიძე,**
გაზეთის „ლენინის გზით" პასუხისმგებელი მდივანი.

• • •

გორში ჩატარდა საქართველოს IV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური ტურნირი (აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისთვის) თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება გორის რაიონის ათლეტებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ ლაგოდეხის რაიონის წარმომადგენლები, ხოლო III — თელავის რაიონისა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: შ. ყანჩაშვილი, ფ. ხარაიშვილი (ორივენი — ლაგოდეხი), მ. არჩუაძე (საგარეჯო), რ. მაღლაფერიძე (კასპი), ს. ქარქიშვილი (გორი), ო. თათრიშვილი (თელავი). ქვემძიმე და მძიმე წონებში პირველობა არ გათამაშებულა.

გორის რაიონის მოჭიდავეთა ნაკრები, რომელმაც ზონალურ სპარტაკიადაში I ადგილი დაიკავა, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სპარტაკიადის ფინალში.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

გორი.



სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადებაში საქართველოს ტანმოვარჯიშეთა მთავარი ყურადღება გადატანილია ურთულესი ვარჯიშების ნაერთთა სრულყოფაზე, რაც დაძაბულ, ხანგრძლივ შრომას მოითხოვს. ამის გამოც იყო, რომ რესპუბლიკის პირად პირველობაში ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებულებმაც კი თავიანთ უნარზე ნაკლები შედეგები აჩვენეს. ტურნირისთვის ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა სპორტის ოსტატი ნ. მაკალათია, რომელმაც სამ იარაღზე ისახელა თავი.

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. მაკალათია ორძელზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-4 გვ.).

## საიუბილეო სპარტაკიადა

## ორი ანზორის გამარჯვება

როგორც ვიუწყებოდით, უნგრეთის დედაქალაქში ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა ტრადიციული ტურნირი ძიუ-დოში. ბუდაპეშტში ოქროს დიდი მედლისთვის 2 ანზორი იბრძოდა — კიკნაძე და მარტყოფლიშვილი. ორივე ათლეტმა ამჯერადაც მაღალი ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება გამოავლინა და პირველობა დაისაკუთრა.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის ა. კიკნაძის გამოსვლამ. მან ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. უნგრეთის დედაქალაქში ა. კიკნაძე უზომო პოპულარობით სარგებლობდა. ბუდაპეშტის ტელევიზიამ სპეციალური გადაცემაც კი მიუძღვნა საბჭოთა ფალავნებს.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა (ჩვენ ადრე ვიტყობინებოდით, რომ ოქროს მესამე მედალი გუნდს მოსკოველმა ვ. პანკრატოვმა მოუტანა). II ადგილზე გავიდა გდრ-ის გუნდი. მასპინძლებს წილად ხვდათ III ადგილი.

## საათი

◆ ჰავანა, 21 ოქტომბერი. კუბის დედაქალაქი მოუთმენლად მოელის დიდი სპორტული შეჯიბრების — მოჭადრაკეთა მე-17 ოლიმპიადის — მსოფლიოს გუნდური პირველობის დაწყებას. მოჭადრაკენი ასპარეზობაში 25 ოქტომბერს ჩაებმებიან. საერთაშორისო საჭადრაკო ბატალიების ტრადიციულ ადგილას, ქალაქის უდიდესი ოტელის „ჰავანა ლიბრეს" „ელჩთა დარბაზში" ყველაფერი მზადაა შეჯიბრების დაწყებისთვის.

ჰავანაში უკვე ჩამოვიდა ოლიმპიადის ზოგიერთი მონაწილე. სულ მოელიან 50 ქვეყნის გუნდებს. ოთხშაბათს კუბის ავიაკომპანია „კუბანა დე ავიასიონის" თვითმფრინავით ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, მონღოლეთისა და რამდენიმე სხვა ქვეყნის გუნდი.

◆ **მეხიკო,** 21 ოქტომბერი. მექსიკის დედაქალაქის სტადიონებზე დამთავრდა „სპორტის II საერთაშორისო კვირეული". საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც მხოლოდ 8 სახეობაში ასპარეზობდნენ, მოიპოვეს ოქროს 19, ვერცხლის 11 და ბრინჯაოს 11 მედალი.

საბჭოთა მძლეოსანთაგან ოქროს მედალი მოიხვეჭა ევროპის ჩემპიონმა, შუბისმტყორცნელმა იანის ლუსისმა. იგი ასპარეზობის ერთადერთი მონაწილეა, რომელმაც გადალახა 80-მეტრიანი მიჯნა — შუბი ტყორცნა 81 მეტრსა და 92 სანტიმეტრზე.

ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ აგრეთვე საბჭოთა მოკრივეები ი. მავრიაშინი (ქვემსუბუქი წონა) და ვ. აგეევი (საშუალო წონა). პირველმა ფინალში 1 წუთსა და 34 წამის შემდეგ ნოკაუტში ჩააგდო მექსიკელი ა. ზარაგოზა, მეორემ — ასევე ნოკაუტით მოიგო გადამწყვეტი ბრძოლა (II რაუნდში) კუბელ დელიზთან.

## დებიუტანტმა ვერ გაამართლა

ბ ე რ ლ ი ნ ი, 21 ოქტომბერი. გრძელდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ძალოსნობაში. საშუალო წონის ათლეტთა შეჯიბრებამ საბჭოთა გუნდს კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოუტანა: მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტმა, კიეველმა ვ. ბელიაევმა სამჭიდში 485 კილოგრამი დააგროვა და ოქროს ორი მედალი დაისაკუთრა. ამასთან, მან მსოფლიოს ახალი რეკორდიც დაამყარა სამჭიდში: უნგრელ დ. ვერეშის მიღწევა ერთბაშად 7,5 კილოგრამით გააუმჯობესა. ამ შეჯიბრებისას ვერეშსა და ბელიაევს ერთნაირი შედეგი ჰქონდათ, მაგრამ ვინაიდან უნგრელი საბჭოთა ათლეტზე მძიმე აღმოჩნდა, მას II ადგილი მიეკუთვნა. III ადგილზეა ოლიმპიური ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიელი ჰ. ზდრაჟილა — 465 კგ.

პირველი მარცხი საბჭოთა ძალოსნებმა ქვემძიმე წონაში იწვნიეს: გუნდის დებიუტანტმა ი. ტალტსმა აჭიმვაში საწყისი წონა (147,5 კგ) ვერ დაძლია და ჩემპიონატს გამოეთიშა. დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა უნგრელ გ. ტოტსა და პოლონელებს — ი. პალინსკისა და მ. გოლომბს შორის. გაიმარჯვა უნგრელმა, რომელმაც საბჭოთა ძალოსნის ვ. ლიახის მსოფლიო რეკორდი (487,5 კგ) გაიმეორა. II ადგილზე გავიდა ი. პალინსკი — 477,5 კგ, ხოლო III — მ. გოლომბი — 475 კგ.

რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, მსოფლიო ჩემპიონატში წინ არიან პოლონელები — 29 ქულა. საბჭოთა ძალოსნები მათ ერთი ქულით ჩამორჩებიან. ევროპის ჩემპიონატის ჩათვლაში იგივე მდგომარეობაა, ოღონდ პოლონელებს 33 ქულა აქვთ.

## გადატანილია 8 ნოემბრისთვის

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა 27 ოქტომბერს, მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გამართოს მაროკოს ფეხბურთელთა ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს" საერთაშორისო მატჩი. ამასთან დაკავშირებით, მოსკოვის „ტორპედოსა" და კიევის „დინამოს" ფინალური შეხვედრა სსრ კავშირის თასზე გადატანილია 8 ნოემბრისთვის.

## მეხიკოს ზაფხულიები

მ ე ხ ი კ ო, 21 ოქტომბერი. „სპორტის II საერთაშორისო კვირეულში" ახალი გამარჯვება იზეიმა მსოფლიო ჩემპიონმა კლასიკურ ჭიდაობაში რ. რურუამ. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობაში წარმატების შემდეგ მან მეტი ალმავლობით ჩაატარა ტურნირი თავის ძირითად სახეობაში, ყველა მეტოქე დაჯაბნა და ოქროს მეორე მედალი მოიპოვა. „კლასიკოსთა" შორის საბჭოთა სპორტსმენებიდან ბადალი არ ჰყავდათ, აგრეთვე, ვ. იგუმენოვსა და გ. საპუნოვს.

„სპორტის დედოფლის" კავალერთა ასპარეზობაში სულ რამდენიმე საბჭოთა ათლეტი მონაწილეობდა. უროს ტყორცნაში კვლავ მიუწვდომელი იყო ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი რ. კლიმი. ერთ-ერთი ცდისას მისი ურო 70,20 მეტრზე დაეცა და „ოქროც" კლიმს მიეკუთვნა. თანაგუნდელს არც ნ. სმაგა ჩამორჩა. იგი პირველი იყო სპორტულ სიარულში, — 20 კილომეტრის გავლას ყველაზე ნაკლები დრო (1:31.04) მოანდომა.

საინტერესო იყო სპრინტერ ვაჟთა შეჯიბრება. ე. ფიგეროლამ (კუბა) წინასწარ გარბენში 10,3 წამი აჩვენა, ფინალში კი — 10,4. ასეთივე შედეგი ჰქონდა ტ. სმითს (აშშ), მაგრამ ფოტოფინიშმა უპირატესობა კუბელს მიაკუთვნა. თავისუფლების კუნძულის ათლეტებმა მეორე „ოქრო" ქალთა ბადროს ტყორცნაში მოიპოვეს. მართალია, ჰ. რამირესის ნაჩვენები შედეგი არც ისე მაღალი იყო, მაგრამ გამარჯვებისთვის 39,58 მეტრიც საკმარისი აღმოჩნდა.

სპრინტერ ქალებში ყველას პოლონეთის დუეტმა აჯობა. 100 მეტრზე რბენაში პირველი იყო ე. კლობუკოვსკა — 11,3 (ი. კირშენშტეინმა II ადგილი დაიკავა — 11,5), ხოლო 200 მეტრზე რბენა კირშენშტეინმა (23,8) მოიგო. ეს უკანასკნელი უძლიერესი აღმოჩნდა სიგრძეზე ხტომაშიც — 614 სმ.

იტალიელმა რ. ფრინოლიმ ბუდაპეშტში 400 მ თარჯრბენს 49,8 წამი მოანდომა და ევროპის ჩემპიონობაც მოიპოვა, მეხიკოში კი ეს შედეგი 0,2 წამით გააუმჯობესა. ქალებში 400 მეტრზე რბენა მოიგო ჰოლანდიელმა ი. ვან ეინ-ვოსმა — 55,7.

თავიანთ ამპლუაში უძლიერესნი იყვნენ ბელგიელი გ. რულანტსი და ამერიკელი რ. ბოსტონი: პირველმა ყველა ჩამოიტოვა 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — 8.52,6, ხოლო მეორემ მოიგო სიგრძეზე ხტომა — 799 სმ.

ველოსიპედისტთა ასპარეზობის (სპრინტი) ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. ფხაკაძე. პირველობა ნ. ფრედბორგა (დანია) დარჩა.

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

# იმედის სხივი

## ანუ რა მოხდა სევანის ტბის მიდამოებში

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა საქართველოს სპორტსმენთა ყურადღებისა და ზრუნვის მთავარი საგანია. სწორედ ამიტომაა, რომ რესპუბლიკის სპორტული პოტენციალი დღეს ამ უმნიშვნელოვანესი ასპარეზობისადმი მზადების ნიშნით ფასდება.

ამას წინათ სომხეთის მაღალმთიანეთში, სევანის ტბის მიდამოებში ჩატარდა ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ოლიმპიური გუნდები. გამონაკლისის სახით საასპარეზოდ დაუშვეს საქართველოს 2 კოლექტივი. ოლიმპიელებს თავიანთი საზრუნავი ჰქონდათ, ჩვენ — ჩვენი. სსრ კავშირის უძლიერეს ველოსიპედისტთა მონაწილეობა ამ ტურნირში მეხიკოს ოლიმპიადის საზომით იზომებოდა, ჩვენი ხვალინდელი დღე კი სწორედ ის სპარტაკიადა გახლავთ, რომელთანაც რესპუბლიკის ველოსიპედისტებს „ძველი ანგარიშები" აქვთ.

ახალს არაფერს აღმოვაჩენთ თუ ვიტყვით, რომ ველოსპორტი (აქ და შემდგომ ყველგან — საგზატკეცილო) საქართველოს სპორტული დელეგაციის საერთო მაჩვენებლებს უსიამოვნო ლაქად ადევს, რომლის მოცილება აგერ უკვე რამდენიმე წელია ვერა და ვერ მოხერხდა. შეიცვალა დრო, თაობები, შეიცვალა ველოსპორტის ტექნიკა, ტაქტიკა... უცვლელი დარჩა მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულება ველოსპორტთან, — ძველებურად ფუყე, ზოგჯერ კი, უბრალოდ, უსუსური.

თუმცა... ამ ბოლო დროს, თითქოს ყოვლად უპერსპექტივო ჰორიზონტზე იმედის სხივი გამოჩნდა. ვინ იცის, შესაძლოა სევანის ტბის მიდამოები ჩვენი ველოსპორტის ისტორიაში მობრუნების წერტილად დაგვესახოს.

ამ ერთი თვის წინ საქართველოს ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში დონის როსტოვის გუნდს შეხვდა და დაამარცხა იგი. 10 დღის შემდეგ კი მოვიდა ცნობა: ჩვენს გუნდს სევანის ტბისკენ გამგზავრების უფლება მისცეს.

რატომ მაინცდამაინც სომხეთში მოეწყო ეს შეჯიბრება, ალბათ, ყველა ხვდება. სევანის ტბა გეოგრაფიული ადგილმდებარეობით მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქს — მეხიკოს წააგავს. სსრ კავშირის უძლიერესმა ველოსიპედისტებმა ერთთვიანი წვრთნა ჩაატარეს ამ მაღალმთიანეთში, გაიარეს საჭირო აკლიმატიზაცია და ახლა მზად იყვნენ გამოცდისთვის. საქართველოს გუნდს აკლიმატიზაციის დრო არ ჰქონდა. იგი შეჯიბრების წინა დღეებში ეწვია სევანს.

სურათი რომ ნათელი იყოს, გაგაცნობთ კიდევ ერთ დეტალს: აღნიშნულ შეჯიბრებას მსაჯთა კოლეგიის გარდა ემსახურებოდა მეცნიერ-მუშაკთა საკმაოდ ავტორიტეტული ჯგუფი. ამ თავისებურ მოძრავ სამეცნიერო ლაბორატორიას უნდა დაედგინა, რა გავლენას ახდენს სპორტსმენთა ორგანიზმზე უჩვეულო სიმაღლე და რამდენი დღეა საჭირო სრული აკლიმატიზაციისთვის. საცდელ პირთა რაოდენობა საკმარისზე მეტი იყო: ერთის მხრივ, — უკვე აკლიმატიზებული ოლიმპიელები, მეორის მხრივ კი, — ასეთი სიმაღლისთვის აშკარად მოუმზადებელი საქართველოს ველოსიპედისტები.

და აი, სწორედ აქ მოხდა საოცარი რამ.

ველოსიპედისტთა სიძლიერის უტყუარი საზომია ინდივიდუალური რბოლა დაყოფილი სტარტით, სადაც სპორტსმენი მარტოდმარტო, პარტნიორების დაუხმარებლად ებრძვის კილომეტრებს, საათებს, წუთებს... დაყოფილი სტარტით რბოლა მუდამ იყო ჩვენების „აქილევსის ქუსლი". და აი, ყველასთვის მოულოდნელად საქართველოს ველოსიპედისტთა პირველმა ხუთეულმა საგრძნობლად გააუმჯობესა პირადი შედეგები. თუ როსტოველებთან შეჯიბრებაში მისი მაჩვენებლები I თანრიგს შეესაბამებოდა, სევანის მაღალმთიანეთში ამ ხუთეულმა პირველად აჩვენა ოსტატობის კანდიდატთა ნორმა.

გამარჯვებული ნ. ტკაჩენკოს (მინსკი) დრო მეტად მაღალი იყო — 34,15, მაგრამ იგი საამისოდ მთელ თვეს ემზადებოდა! გასაოცარი იყო ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტთა წინსვლა, ვინაიდან მათ არც აკლიმატიზაცია გაუვლიათ და არც საგანგებოდ მომზადებულან.

დაყოფილი სტარტი გამონაკლისი რომ ყოფილიყო, შესაძლოა მასზე არაფერი გვეთქვა, მაგრამ საქართველოს გუნდმა პროგრამის სხვა სახეობებშიც მიაღწია წარმატებას.

აი, თუნდაც გუნდური რბოლა. თუ მის შედეგებს 2-2 გუნდის მაჩვენებლებით განვსაზღვრავთ (ჩვენი რესპუბლიკა შეჯიბრებაში ხომ მხოლოდ 2 გუნდით გამოდიოდა), 22 კოლექტივში საქართველოს ველოსიპედისტებმა VI ადგილი დაიკავეს. ადრე ჩვენ გამარჯვებულთან ჩვეულებისამებრ 6-7 წუთს ვაგებდით, ახლა კი სხვაობა I და VI ადგილებს შორის სულ რაღაც 3,5 წუთი იყო.

მაგრამ ყველაზე საგულისხმო წარმატებას მაინც საერთო სტარტით რბოლაში მივაღწიეთ. ამ დღეს თერმომეტრი პლუს 3 გრადუსს აჩვენებდა. ეს კი სევანის ტბის მიდამოებში თითქმის ყინვაა. სტარტი 87-მა მრბოლელმა აიღო, დისტანცია კი მხოლოდ 40-მა დაამთავრა. რეგლამენტზე ადრე რბოლას ბევრი ცნობილი ოსტატი ჩამოსცილდა. ფინიშთან ჩვენი რესპუბლიკის 5 წარმომადგენელი (ვ. კეხბა, ო. სუჯაშვილი, ა. ომელკო, ს. გრიშკევიჩი და ი. კრასავცევი) ძირითად ჯგუფში აღმოჩნდა, რამდენიმე წამის შემდეგ კი ფინიშის ხაზი შ. დაიაურმა გადაკვეთა. ეს ჩვენი ბიჭების დიდი გამარჯვება იყო, რამაც საერთო გაკვირვება და აღტაცებაც გამოიწვია.

... საქართველოს ველოსპორტის ფედერაციამ სწორედ გადაწყვიტა, როცა რესპუბლიკის ნაკრები ფაქტიურად სულ განაახლა. ძველი გვარდიიდან გუნდში მხოლოდ 1 კაცი დარჩა. ახალგაზრდობამ ნაღდად გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში ასეთი წარმატება არასდროს გვქონია. თავად განსაჯეთ: ტურნირის დამთავრების შემდეგ სპორტსაზოგადოებათა ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში ჩვენი რესპუბლიკიდან 5 ველოსიპედისტი მოხვდა — ო. სუჯაშვილი, ა. კოსტეცკი, გ. ყაველაშვილი, ს. გრიშკევიჩი და შ. დაიაური.

ყოველივე ეს მომავალი სპარტაკიადისთვის იმედის რაღაც ნაპერწკალს აღვივებს. მაგრამ სევანის ტბის მიდამოებში გამართულმა შეჯიბრებამ ზედმეტად არ უნდა აღგვაფრთოვანოს. ჩვენს ველოსიპედისტებს ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზები აქვთ გამოსასწორებელი. აი, თუნდაც ფიზიკური მომზადების დონე. იგი ჯერჯერობით უკმარია იმ დიდი გამოცდის ჩასაბარებლად, რასაც მრავალდღიანი რბოლის ზეგრძელი მანძილები მოითხოვს.

ჩვენი დღევანდელი ნაკრები ახალგაზრდულია და მის წევრებს ჯერჯერობით აკლიათ გამოცდილება განსაკუთრებით ისეთი შეჯიბრებებისას, სადაც მოქნილი ტაქტიკაა საჭირო. გამოცდილება კი ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში მოდის. ასე რომ, სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში ნაკრების ველოსიპედისტები მაქსიმალურად უნდა დავტვირთოთ შეჯიბრებებით.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ თანამედროვე ველოსპორტში სისწრაფე ყოველდღიურად იზრდება. სწორედ ამის შესაბამისად უნდა ხდებოდეს სპორტსმენთა უზრუნველყოფა თანამედროვე ველოტექნიკით. სამწუხაროდ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს.

და კიდევ ერთი, წარმატებისთვის არანაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი: სპორტული დისციპლინა, რომელიც ჩვენს ველოსიპედისტებში ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. ნაკრების მწვრთნელმა — სპორტის ოსტატმა ა. გუნიამ და თვით ველოსიპედისტებმა სპორტული რეჟიმისა და, საერთოდ, წესრიგის დამრღვევთ შეუბრალებელი, უმოწყალო ბრძოლა უნდა გამოუცხადონ.

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გასულ სპარტაკიადებში დაცემული პრესტიჟის აღდგენას.

ნ. გუგუშვილი.

## სტარტზეა ჯანმრთელობა



დამთავრდა თბილისის 1-ლი მაისის რაიონის ჯანმრთელობის სპარტაკიადა, რომელიც სამ ჯგუფად ჩატარდა. I ჯგუფში ყველა ჩამოიტოვეს სპორტკლუბ „სინათლის" ფიზკულტურელებმა, რომლებმაც თითქმის ყველა სახეობაში იმარჯვეს და საერთო წარმატებაც მოიპოვეს. II ჯგუფში საუკეთესო იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" კოლექტივი.

III ჯგუფში ასპარეზობდნენ სახლმმართველობათა გუნდები. 90-ე სახლმმართველობის კოლექტივმა მძლეოსნობაში გამარჯვების მერე მაგიდის ჩოგბურთშიც ისახელა თავი. გუნდმა (ტ. ქართველიშვილი, თ. ნადირაძე, მ. მიქაძე და ლ. ჟურავლიოვა) ერთნაირი ანგარიშით (3:0) მოუგო ყველა მეტოქეს. ტოლი არ ჰყავდათ ამავე კოლექტივის მოჭადრაკეებსაც. გუნდის წარმატებაში მცირე წვლილი როდი შეიტანა 130-ე სკოლის მეხუთეკლასელმა მანანა ვაჩეიშვილმა, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა ყველა პარტიაში. 90-ე სახლმმართველობის გუნდი პირველი იყო კომპლექსურ ჩათვლაშიც.

სურათზე: მ. ვაჩეიშვილი ფიქრობს მორიგ სვლაზე.
ფოტო და ტექსტი ვ. ბუკიასი.

### ...ინგურჰესელებმა

გაიმართა ზუგდიდის რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ინგურჰესის მშენებლებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. მანია, ნ. ლემონჯავა, შ. საჯაია (ყველანი — ზედა ეწერი), ო. მორჩილაძე, ე. ფილფანი, შ. ვიბლიანი, ე. ნოზაძე, მ. ჯავახიშვილი (ყველანი — ინგურჰესის მშენებლობა).

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

## გ. მაჭავარიანი ბაქოს გაემგზავრება

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა გ. მაჭავარიანისა და ს. ჩეჩელიანის დამატებითი მატჩი. გადადებული, IV პარტიის განახლებისას მეტოქეებმა თითო სვლა გააკეთეს და ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის საბოლოო შედეგია 2:2, მაგრამ ბაქოში საასპარეზოდ გაემგზავრება მაჭავარიანი, ვინაიდან კოეფიციენტების ცხრილის მიხედვით წინასწარ ტურნირში მას უკეთესი მაჩვენებლი აქვს.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის ბოლოს აზერბაიჯანის დედაქალაქში გაიმართება ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი. ასეთი ასპარეზობა უკანასკნელად 1948 წელს მოეწყო. მაშინ ყველას ბაქოელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მაკოგონოვმა აჯობა. II ადგილზე გავიდა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, ხოლო III — ოსტატი ა. ებრალიძე.

ამჯერად, ბაქოში 16 მოჭადრაკე ითამაშებს — სამი ოსტატი და ამდენივე ოსტატობის კანდიდატი აზერბაიჯანიდან, 3-3 ოსტატი და 2-2 ოსტატობის კანდიდატი სომხეთიდან და საქართველოდან. შეჯიბრება ახლახან გარდაცვლილი აზერბაიჯანელი ოსტატის ს. ხალილბეილის ხსოვნას ეძღვნება. როგორც აღვნიშნეთ, ჩემპიონატის ერთი ქართველი მონაწილე უკვე ცნობილია (მაჭავარიანი). ვინ იქნება დანარჩენი ხუთი, ამას უახლოეს დღეებში გადაწყვეტს საქართველოს საჭადრაკო ფედერაცია.

საქართველოს პროფსაბჭოში

# ზრუნვის პასუხად

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ამ დოკუმენტში საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის უდიდესი შესაძლებლობანია დასახული.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დონე ჩვენს რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს, ხოლო ფიზკულტურული მოძრაობა მთელი სისრულით როდია გამოყენებული აღმზრდელობით საქმიანობაში. ბევრ საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა დაბალ დონეზე დგას, ზოგი ხელმძღვანელი მუშაკი მეტისმეტად გულგრილად, ან სულაც არ ზრუნავს მისი დანერგვა-განვითარებისთვის. საქართველოს ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ უგულებელყოფილია საწარმოო ტანვარჯიში.

შეიმჩნევა ფაქტები, როცა რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში არ ზრუნავენ სპორტული დონის ზრდისთვის. საქართველოს პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოები სუსტად იბრძვიან ფიზკულტურული კოლექტივების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისთვის, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მასობრივად გაშლისთვის.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად გატარების მიზნით, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ავალებს ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტკლუბებს, პროფკავშირთა რაიონულ, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ კომიტეტებს, „განთიადის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკისა" და „ლოკომოტივის" საბჭოებს: მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიონ კოლექტივებში გამაჯანსაღებელი ჯგუფების მუშაობას; დანერგონ და სისტემატური გახადონ საწარმოო ტანვარჯიში; თავიანთი წვლილი შეიტანონ სპორტული ბაზების, სექციებისა და ჯგუფების შექმნაში, სპორტინვენტარის შეძენაში; უზრუნველყონ ფიზკულტურული კოლექტივების რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური ტურნირების გამართვა, რომლებშიც მასობრივად იასპარეზებენ მშრომელები; ყოველნაირად დაუჭირონ მხარი იმ ფიზკულტურულ კოლექტივებს, რომლებიც იბრძვიან სპორტული კლუბის სახელის მოსაპოვებლად.

საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე, მოსახლეობაში ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას, პიონერთა ბანაკებში ფიზკულტურული საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებას, მასობრივი ტურიზმის შემდგომ განვითარებას და სხვ.

# 1 ქალი და 36 ვაჟი

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მსტენდლურეთა 21-ე პირად-გუნდური შეჯიბრების მონაწილენი თბილისის „მონკავშირის" სტენდზე ცდიდნენ ძალებს. როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე მოასპარეზეთ 100-100 სამიზნე უნდა მიეღოთ. ცეცხლის ხაზზე 37 მსროლელი გამოვიდა.

შესანიშნავად ისროდა სპორტის ოსტატი ემილია მელიქიშვილი. პირველსავე სერიაში მან 2 სამიზნეს ააცდინა, მეორე სერიაში კი უცნებლად მხოლოდ 1 „თეფში" გაუფრინდა და 50 შესაძლებლიდან 47 ქულით იგი ადგილიდან მსროლელთა ტურნირის ლიდერი გახდა. ემილიამ გამოცდის მეორე ნახევარიც კარგად ჩააბარა, საბოლოოდ 91 ქულა მოაგროვა, პირველობა მოიპოვა და ვაჟებს მხოლოდ მომდევნო საპრიზო ადგილები დაუტოვა. 90 ქულით II ადგილზე გავიდა პ. რადჩენკო, III იყო ახალგაზრდა ა. გრიგორიანი (89).

მრგვალ სტენდზე სროლაში ბადალი არ ჰყავდა თბილისელ სპორტის ოსტატ ლ. სიმონიანს. პირველ სამ სერიაში მან თანაბარი მაჩვენებლები (23-23 ქულა) მოიპოვა, ბოლო სერიაში კი 24 სამიზნე დაამსხვრია. ამრიგად, 100 შესაძლებლიდან სიმონიანმა 93 ქულა მოაგროვა და 7 ქულით აჯობა ჩემპიონობის სხვა მაძიებლებს — გ. დიმიტროვსა და რ. კლიმოვს, რომლებიც იძულებული გახდნენ II-III ადგილები ერთმანეთში გაეყოთ, ვინაიდან დამატებითმა სერიებმაც კი ვერ გამოავლინა მათში უძლიერესი.

ო. ივდოშვილი.

[illegible]

გორი

აქ ერთ თვეს გასტანა მოსწავლეთა სპარტაკიადამ, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა. ასპარეზობაში მონაწილეობდა ქალაქის 12 სკოლის 1.440 მოსწავლე-სპორტსმენი. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული იყო შეჯიბრებები ხელბურთში, ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშსა და ქართულ ჭიდაობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა გორის მე-6 საშუალო სკოლის სპორტულმა კოლექტივმა (ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. ამბროლაძე).

ი. თევდორაშვილი.

# ახალი ამბები

● გროზნო, 20 ოქტომბერი. გუშინ აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი რუსულ შაშში. ჩემპიონის წოდება პირველად მოიპოვა ბაქოელმა სპორტსმენმა, 21 წლის ვ. გაბრიელიანმა. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა მისმა თანამემამულემ ი. არუსტამოვმა. III ადგილზე გავიდა სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი, დიდოსტატი ვ. ლიტვინოვიჩი.

● ერევანი, 20 ოქტომბერი. ახალგაზრდობის უდავო წარმატებით დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 20 წლის ა. გორიაჩევმა, ბაქოელმა სტუდენტმა, 23 წლის ო. ტორჩინსკიმ და მოსკოვის „სპარტაკის" სპორტული ბაზის ინსტრუქტორმა, 26 წლის ვ. გუნინმა, რომლებიც პროფკავშირთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ. II ადგილზე არიან მოსკოვის ცსკა-ს ხუთჭიდელები (ა. მოკეევი, პ. ლედნიოვი, ვ. დრუჟინინი), ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ უკრაინის „დინამოს" სპორტსმენები (ბ. ანიშჩენკო, ვ. პლაკსინი, ს. სობინევსკი). პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები დაიკავეს პ. ლედნიოვმა (ცსკა), ს. შაპარნიჩმა (ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქი) და ვ. ნაზაროვმა („სპარტაკი"). ოლიმპიური გუნდების ასპარეზობაში გაიმარჯვეს „დინამოს" ხუთჭიდელებმა, რომლებსაც გადაეცათ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს დიდი პრიზი. II ადგილზე გავიდნენ შეიარაღებული ძალების სპორტსმენები, ხოლო III — პროფკავშირთა წარმომადგენლები. ერევნის ტურნირი სსრ კავშირის უძლიერეს თანამედროვე ხუთჭიდელთა ბოლო დათვალიერება იყო მელბურნის მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

● დუშანბე, 21 ოქტომბერი. აქ გაიმართა ფეხბურთელთა მატჩი ავღანეთის განათლების სამინისტროს ნაკრებსა და ადგილობრივ „ენერგეტიკს" შორის. მასპინძლებმა სტუმრების კარში 12 გოლი გაიტანეს, საკუთარში კი მხოლოდ 1 მიიღეს.




# კაპიტანს არ ჰქონდა მხარდაჭერა

**მოსკოვი. „დინამოს" სტადიონი. 20 ოქტომბერი.**

**„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 2:1 (2:1).**

**მოსკოვი:** რაკიტსკი (სკოკოვი), ივანოვი, მუდრიკი, შტაპოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ვოტოლოვსკი (ცარიოვი), ბობკოვი, ვშივცევი, ავრუცკი, ევრიუჟიხინი.

**თბილისი:** ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი (ხუციშვილი), პეტრიაშვილი, ხართიშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, იამანიძე, დათუნაშვილი.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

დუბლიორები — 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

მატჩი ძველ მეტოქეთა შორის დაიწყო თბილისელთა საკმაოდ აგრესიული, სწრაფი შეტევებით და ტრიბუნებზე მსხდომი 19 ათასი მაყურებელი მოელოდა, რომ ეს იერიში გარკვეულ ნაყოფს გამოიღებდა. მაგრამ გავიდა 10 წუთი და შეტევა თითქმის მთლიანად შეწყდა. მოსკოველებმა მაშინვე იგრძნეს, რომ მოწინააღმდეგის იერიში ვითარდებოდა მხოლოდ ცალმხრივად, მარცხენა ფლანგიდან, ხოლო ასათიანის მხრივ საპირდაპირო ფრთიდან მათ ხიფათი არ ელოდათ. ამიტომ გუნდმა გააძლიერა დაცვა იამანიძე—დათუნაშვილის საწინააღმდეგოდ და მალე თვითონ გადავიდა კონტრიერიშზე.

მართალია, თბილისელთა ნახევარმცველები კარგა ხანს აქტიურად თამაშობდნენ და შორი გადაცემებით წინ აგზავნიდნენ თავდამსხმელებს, მაგრამ ამ უკანასკნელთა სამოქმედო დიაპაზონი მაინც შეზღუდული იყო. მოგვიანებით ასათიანი გადაყვანილ იქნა ცენტრში და თავდასხმის თამაშიც შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც არ იგრძნობოდა მთლიანობა და გუნდის კაპიტანს იამანიძეს არ ჰქონდა შესაფერისი მხარდაჭერა პარტნიორთა მხრივ.

ანგარიში გაიხსნა მე-16 წუთზე ისეთ ვითარებაში, როცა სრულიადაც არ ემუქრებოდა თბილისელებს გოლი. დაცვამ უხეში შეცდომა დაუშვა და ავრუცკის ოდნავადაც არ გასჭირვებია პირისპირ გასულიყო მეკარე ურუშაძესთან. ფორვარდის ეს გარღვევა, ბუნებრივია, დამთავრდა გოლით — 1:0. ამ მარცხს სტუმრები არ „გამოუფხიზლებია" და ინიციატივა კვლავინდებურად მოსკოველებს ეპყრათ ხელთ. 33-ე წუთზე თბილისელთა კარში შორი მანძილიდან დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ივანოვმა მის წინაშე აღმართულ კედელში მოძებნა გზა ბურთისთვის და ყუმბარისებური დარტყმით ზევითა მარცხენა კუთხეში გაგზავნა იგი. ურუშაძე უძლური იყო — 2:0.

თუ თბილისელთა მეკარე არ შეიძლება დავადანაშაულოთ ორივე გაშვებულ გოლში, საპასუხო ბურთი მოსკოველთა კარში მთლიანად მეკარე რაკიტსკის სვინდისზეა. მან ყოვლად გაუმართლებლად დატოვა კარი და გამოვიდა წინ, რითაც ასათიანს საშუალება მიეცა გაეტანა ერთი გოლი — 1:2.

გამარჯვება, რა ანგარიშითაც უნდა ყოფილიყო იგი, ყოველმხრივ ხელს აძლევდა მოსკოველებს, ამიტომ მათ მეორე ტაიმში ვოტოლოვსკის ნაცვლად ცარიოვი გამოიყვანეს მინდორზე და გააძლიერეს დაცვითი რიგები. საწინააღმდეგო ცვლილება მოხდა თბილისელთა შორის, სადაც რეხვიაშვილის ნაცვლად კიდევ ერთი თავდამსხმელი იქნა შემოყვანილი — ხუციშვილი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო რაიმე გარდატეხის შეტანა თავდასხმის თამაშში. იამანიძე კიდევ და კიდევ ცდილობდა გამარჯვების რწმენა ჩაესახა თავის პარტნიორებში, მას კი არავინ დაუჭირა მხარი და ეს, პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას მეტრეველზე. 45 წუთის განმავლობაში იგი სულ 2-3-ჯერ ჩაება თამაშში, დანარჩენი დროის განმავლობაში კი მშვიდად უცდიდა მსაჯის საფინალო სასტვენს.

მოსკოველებმა [illegible] მაშით შეძლეს კარის უხიფათობის დაცვა, თანაც მათ კიდევ ერთი გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ. აქ თავი გამოიჩინა ურუშაძემ, რომელმაც პირისპირ გასულ ევრიუჟიხინისგან აილო თითქმის უიმედო ბურთი.

**ზ. ჯაფარიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

## მატჩები, გოლები, ავტორები

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო ტურებში გატანილი გოლების ავტორთა ვინაობა.

მოსკოვის „ლოკომოტივისა" და ტაშკენტის „პახტაკორის" შეხვედრაში მოსკოველთა მხრივ ბურთები გაიტანეს კოროტკოვმა და კოზლოვმა, ხოლო ცსკა-მ დონეცკის „შახტიორთან" დამარცხება განიცადა ანანჩენკოს მიერ გატანილი ბურთის მეოხებით.

ბაქოს „ნეფტიანიკმა" დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო". გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ბანიშევსკიმ და გაჯიევმა, ტორპედოელთაგან ბურთის ავტორი იყო მიხაილოვი.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ზენიტი" (ლენინგრადი). ანგარიში გახსნა ლენინგრადელმა ზავიდონოვმა, საპასუხო ბურთი გაიტანა ბოკატოვმა.

მინსკის „დინამოსა" და როსტოვის არმიელთა გუნდის შეხვედრაში პირველი ბურთი გაიტანა როსტოველმა მატვეევმა. მალოფეევმა ანგარიში გაათანაბრა ისე, რომ გუნდებმა ვერ მოასწრეს თამაშის დაწყება ცენტრიდან. ოდესის „ჩერნომორეცს" კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან" მატჩში გამარჯვება მოუტანა მოსკალენკოს მიერ გატანილმა ბურთმა.

დაბოლოს, გათამაშების ლიდერმა — კიევის „დინამომ" 3 „მშრალი" ბურთი გაიტანა ალმა-ათის „კაირატის" კარში (ბიბა, პუზაჩი, მჩედლოვი).

## „ა" კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 22 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 30 | 20 | 9 | 1 | 60—12 | 49 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 30 | 15 | 7 | 8 | 48—24 | 37 |
| ცსკა | 29 | 15 | 7 | 7 | 55—37 | 37 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 30 | 14 | 8 | 8 | 47—30 | 36 |
| ასკ (როსტოვი) | 30 | 15 | 6 | 9 | 45—41 | 36 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 27 | 12 | 9 | 6 | 37—31 | 33 |
| „დინამო" (თბილისი) | 30 | 11 | 10 | 9 | 38—28 | 32 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 31 | 11 | 10 | 10 | 39—32 | 32 |
| „დინამო" (მინსკი) | 31 | 10 | 11 | 10 | 33—33 | 31 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 29 | 8 | 15 | 6 | 26—26 | 31 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 29 | 13 | 5 | 11 | 28—30 | 31 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 30 | 10 | 10 | 10 | 24—30 | 30 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 32 | 10 | 8 | 14 | 33—47 | 28 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 31 | 8 | 11 | 12 | 25—33 | 27 |
| „არარატი" (ერევანი) | 30 | 8 | 10 | 12 | 22—41 | 26 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 30 | 8 | 4 | 18 | 26—42 | 20 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 7 | 6 | 16 | 34—52 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 31 | 3 | 14 | 14 | 17—38 | 20 |
| ასკ (ოდესა) | 29 | 1 | 10 | 18 | 13—43 | 12 |

## იწყება ფინალი

23 აპრილს დაიწყო „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის გათამაშება რსფსრ-ს ზონებში, სადაც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკათა კოლექტივებიც (მათთვის პარალელური ჩათვლა წარმოებდა).

როგორც ეს შეჯიბრების დებულებითაა გათვალისწინებული, ზონების საუკეთესო გუნდებმა უნდა ჩაატარონ ფინალური ტურნირი, რომელიც გამოავლენს მოკავშირე რესპუბლიკათა უძლიერეს კოლექტივს.

ფინალური შეჯიბრება იწყება 23 ოქტომბერს ტყიბულში. მასში მონაწილეობას მიიღებენ „მეშახტე" (ტყიბული), „ლერნაგორცი" (კაფანი), „ფოლადი" (სუმგაითი) და „ნემანი" (გროდნო). ტურნირი გასტანს 30 ოქტომბრამდე.

• • •

მოგვყავს გათამაშების კალენდარი:

**23 ოქტომბერი.** „ფოლადი" — „მეშახტე", „ლერნაგორცი" — „ნემანი".

**26 ოქტომბერი.** „ფოლადი" — „ლერნაგორცი", „მეშახტე" — „ნემანი".

**30 ოქტომბერი.** „ნემანი" — „ფოლადი", „ლერნაგორცი" — „მეშახტე".

# ფეხბურთელი ღალატობს გუნდს

**თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 21 ოქტომბერი.**

**„ლოკომოტივი" (თბილისი) — „რუბინი" (ყაზანი) 3:1 (1:1).**

**„ლოკომოტივი":** გრძელიშვილი, მირიანაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, იაშვილი (ჭელიძე), მუმლაძე, მაზიაშვილი, კაიშაური, გავაშელი, კოშკელოვი.

**„რუბინი":** გალომოვი, ფომინი, სურკოვი, მარალიკინი, მარკოვი, მინიბაევი, გოლუბევი, ტეტერკინი, ვორობიოვი, ბერიუგოვსკი, ზადიკაშვილი.

მსაჯი ე. ალიმ-ზადე (ბაქო).

დუბლიორები — 5:0 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

... მიმდინარეობდა მატჩის 55-ე წუთი. ანგარიში იყო 1:1 და მინდორზე უაღრესად დაძაბული ბრძოლა წარმოებდა. სულ მცირე უპირატესობაც კი ერთ მხარეს საგრძნობ უპირატესობას აძლევდა. აი ამ, გადამწყვეტ მომენტში „რუბინის" წამყვანმა თავდამსხმელმა ბრიუგოვსკიმ ყოვლად უხამსი, ხულიგნური საქციელი ჩაიდინა, რისთვისაც იგი წამსვე იქნა გაძევებული მინდვრიდან მსაჯის მიერ.

ლოკომოტიველებს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეეძლოთ წარმატების მოპოვება. მათ მე-6 წუთზე გახსნეს ანგარიში კარგად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ (მუმლაძე — გავაშელი — მაზიაშვილი). ამ უკანასკნელმა ღია პოზიციიდან გაგზავნა ბურთი კარში. მართალია, ყაზანელები დიდხანს და სახიფათოდ უტევდნენ, მაგრამ მასპინძლებს ჰქონდათ რამდენიმე სახიფათო გარღვევა, რომელთა შემდეგაც გალიმოვმა ძალზე ძნელი ბურთები აილო კოშკელოვის, მაზიაშვილისა და მუმლაძისაგან. „რუბინმა" მხოლოდ ტაიმის ბოლო წუთზე გაქვითა გოლი (ბერიუგოვსკიმ თავით).

## „ა" კლასი II ჯგუფი

მეორე ტაიმში, ჩვენს მიერ აღწერილი ინციდენტის შემდეგ ინიციატივა მტკიცედ აიღო ხელთ „ლოკომოტივმა". ჯერ ჭელიძემ დაამთავრა ზუსტი დარტყმით კარის სიახლოვეს გათამაშებული კომბინაცია, შემდეგ კი კოშკელოვი გავიდა მცველებს შორის და კარის მოურეულ, დაბალ კუთხეში დაარტყა — 3:1. ასე დაუჯდა „რუბინს" წაგების ფასად თავისი ფორვარდის ხულიგნობა.

**გ. ბახკანჩილაძე.**

## 2:1

გუშინ ბათუმში გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ბათუმის „დინამოსა" და როსტოვის „როსტსელმაშს" შორის.

პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ—0:0. შესვენების შემდეგ ანგარიში გახსნეს როსტოველებმა (კომბინაცია ლევჩენკო — გონჩაროვი) — 1:0.

შემდგომში უპირატესობამ მთლიანად ბათუმელთა მხარეს გადაინაცვლა. საპასუხო ბურთი გაიტანა ქიქავამ, ხოლო შემდეგ გიორგაძემ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:1.

**ვ. მოსეშვილი.**
(ჩვენი კორ.).

საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მძლეოსანი, 80 მეტრზე თარჯრბენსა და ხუთჭიდში რესპუბლიკის რეკორდსმენი ლ. იეულევა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა „სპორტის დედოფლის" ამალას. ჩვილის დედამ წვრთნა განაახლა, ინტენსიური ვარჯიშით შეძლო თანდათან აღედგინა სპორტული ფორმა და წლეულს უკვე რამდენიმეჯერ აჩვენა I თანრიგის შედეგი, ხოლო გუშინწინ, მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტების მძლეოსანთა მატჩში ოსტატობის კანდიდატის ნორმაც შეასრულა: 80 მეტრზე თარჯრბენში მოსკოველ ლ. ჩერნოვასთან ორთაბრძოლისას 11,2 წამი აჩვენა და I ადგილი მოიპოვა.

იეულევამ ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაშიც. ამჯერად წარმატება მან თანაგუნდელ გ. კონონენკოსთან დუელში მოიპოვა და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ათლეტთა ამასწინანდელ ტურნირში დამარცხებისთვის აილო რევანში. იგი 567 სანტიმეტრზე გადახტა (ეს შედეგი აღემატება I თანრიგის ნორმას) და 7 სანტიმეტრით აჯობა კონონენკოს.

... თბილისისა და მოსკოვის უნივერსიტეტების მძლეოსანთა მატჩს საფუძველი ზამთრის ბოლო საკავშირო პირველობის შემდეგ ჩაეყარა. ლენინგრადიდან მომავალი თბილისელი ათლეტები მოსკოვის უნივერსიტეტში მიიწვიეს. სტუმრებმა საგრძნობი ანგარიშით წააგეს, მაგრამ იქვე შეთანხმდნენ საპასუხო მატჩი შემოდგომით თბილისში ჩაეტარებინათ და ეს ღონისძიება ტრადიციად ექციათ. პროგრამაში არ შეიტანეს შეჯიბრება მრავალჭიდსა და 400 მეტრზე რბენაში. გუნდში 27 მძლეოსანი უნდა ყოფილიყო, რაც მატჩის მონაწილეთ 3-3 სახეობაში ასპარეზობის უფლებას აძლევდა.

და აი, მოსკოველები საპასუხო ვიზიტით თბილისს ჩამოვიდნენ. „დინამოს" სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა მატჩი, რომელმაც მასპინძლების უკეთესი მომზადება დაადასტურა. მართალია, ისინი ახლაც დამარცხდნენ, მაგრამ ანგარიშში სხვაობა უმნიშვნელო იყო — 133,5:139,5. თბილისელებმა მთელ რიგ სახეობებში პირდაპირ „გაანადგურეს" მეტოქეები. განსაკუთრებით სპორტის ოსტატებმა მ. ოყროშიძემ და გ. გუდაშვილმა ისახელეს თავი. ოყროშიძემ ბირთვის კვრაში ოსტატის შედეგით გაიმარჯვა — 17,05 მ, ხოლო გუდაშვილმა II ადგილი დაიკავა — 12,85. ბადროს ტყორცნაში კი თანაგუნდელებმა ადგილები შეცვალეს. გუდაშვილის შედეგი იყო 51,70 მეტრი (ოსტატობის კანდიდატის ნორმა), ოყროშიძისა — 45,06.

იმ მოასპარეზეთათვის, რომლებიც თავიანთ გუნდს ყველაზე მეტ ქულას მოუტანდნენ, დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. ერთი ეს პრიზი გუდაშვილს ხვდა. მან შუბის ტყორცნაში ცადა ძალა, II ადგილი დაიკავა (56,69 მ) და კოლექტივს საბოლოოდ 11 ქულა შესძინა.

საინტერესო იყო სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრის ს. მარტინოვისა (მოსკოვი) და თ. მდივნის დუელი სიმაღლეზე ხტომაში. მართალია, სპორტის ოსტატის ნორმა ორივემ შეასრულა, მაგრამ მდივანი 205 სმ-ზე გადახტა, მარტინოვი კი 3 სანტიმეტრით მაღლა. ამ ტურნირში სპორტის ოსტატის კიდევ ერთი შედეგი იქნა ნაჩვენები. მისი ავტორია ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი შუბის ტყორცნაში, მოსკოველი სტუდენტი ვ. პოპოვა — 53,54.

უნდა აღინიშნოს ი. ჩირიკაშვილის შედეგი სიგრძეზე ხტომაში — 710 სმ, რ. ქვაჩაკიძისა — 110 მეტრზე თარჯრბენში — 15,2, ო. ოდიშვილისა — უროს ტყორცნაში — 54,20. მათ გარდა, I თანრიგის შედეგით გაიმარჯვეს: ქალებში — 100 და 200 მეტრზე რბენაში — გ. ბუხარინამ (მოსკოვი) — 12,2 და 25,7, ბადროს ტყორცნაში — ქ. კახიშვილმა — 44,01; ვაჟებში — 100 და 200 მეტრზე რბენაში — ა. მაკაროვმა — 10,7 და 22,3; 800 მეტრზე რბენაში — ა. ბეზრუკოვმა (ორივე — მოსკოვი) — 1.53,0, 1.500 მეტრზე რბენაში — ი. ლოგუნოვმა (თბილისი) — 3.57,6, სამხტომში — ლ. დარახველიძემ — 14,86...

**ო. გელაშვილი.**

• • •

**სურათებზე:** მარჯვნივ — 200 მეტრზე რბენის მონაწილე ქალები ფინიშთან; მარცხნივ — ს. მარტინოვი სიმაღლეზე ხტომისას.

ფოტო ავტორისა.



# რევანში არ შედგა, მაგრამ...



# სასიამოვნო სიახლენი

ცალკეულ იარაღებზე საქართველოს პირადი პირველობის ფინალში მოასპარეზე ტანმოვარჯიშეებს გაცილებით რთული, საგანგებო მოთხოვნათა მქონე, კომპოზიციურად ღრმაშინაარსიანი ნებისმიერი ვარჯიშები უნდა შეესრულებინათ. რაც შეეხება ვაჟთა ბჯენით ხტომებს, აქ ძალაში იყო ურთულეს ხტომათა სპეციალური საფინალო ტაბულა და სპორტსმენი ასრულებდა ორ სხვადასხვა ხტომს, რისთვისაც მას თითო ცდა ეძლეოდა.

მოწინავე ტანმოვარჯიშეთა მომზადების დონემ საკმაოდ იმატა და სხვაობა მათს მაჩვენებლებში ზოგჯერ ქულის მეათასედებში გამოიხატებოდა. მაგალითად, ბჯენით ხტომებში გამარჯვებული ი. ნინოშვილის საშუალო მაჩვენებული იყო 8,95 ქულა. II ადგილზე გასული კ. გელოვანი კი ჩემპიონს მხოლოდ 0,017 ქულით ჩამორჩა. ასევე იყო რგოლებზეც: ნინოშვილმა მ. ბოგუსთან ჭიდილში 19,0 ქულა მოაგროვა და სულ რაღაც 0,05 ქულით გაასწრო მეტოქეს.

თავისუფალ ვარჯიშში, ღერძსა და ორძელზე ჩემპიონის წოდება მოიპოვა ნ. მაკალათიამ (18,95, 18,85, 18,65).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტაიჭზე შეჯიბრება ყველაზე მეტად ხასიათდება მოულოდნელობებით. ასე იყო ახლაც. პირველი დღის შემდეგ ამ მზაკვრულ იარაღზე ახალგაზრდა მზარდი სპორტსმენი გ. ლოლაძე ლიდერობდა (9,55 ქულა). მას 0,05 ქულით ჩამორჩებოდნენ მაკალათია და ბოგუსი. შემდგომში თავი იჩინა ბოგუსის დიდმა გამოცდილებამ: მან სტაბილურად შეასრულა რთული ვარჯიში და პირველობაც დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდა შ. აზარაშვილი, ხოლო III — ლოლაძე.

ქალებში ვერც ერთმა ვერ შეძლო ერთზე მეტ იარაღზე მოეგო ასპარეზობა. ეს იმან განაპირობა, რომ ბევრ სპორტსმენს ვარჯიშთა გართულებისკენ აქვს კურსი აღებული და სადღეისოდ ყველა იარაღზე როდი მიაღწია სასურველ სტაბილურობასა და ხარისხს. ეს დროებითი მოვლენა სავსებით კანონზომიერია: ჩვენი ტანმოვარჯიშეების სამზადისი სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლისკენაა გამიზნული და იმ დროისთვის ეს ხარვეზები, ცხადია, აღმოიფხვრება.

აი, ქალთა შორის პრიზიორები: ორძელი. რ. ბერიკაშვილი — 19,15 ქულა, ვ. ადამაშვილი — 18,95, ნ. ჯირაშვილი — 18,75; ბჯენით ხტომები. მ. ჩაჩხიანი — 18,85, რ. ბერიკაშვილი — 18,8, ც. ჭკადუა — 18,55; დვირი. — მ. დავითაშვილი — 18,9, ლ. გათენდაშვილი — 18,7, რ. ბერიკაშვილი — 18,5; თავისუფალი ვარჯიში. ლ. გათენდაშვილი — 18,85, ნ. ბაბუნაშვილი — 18,8, მ. ჯინჭარაძე — 18,75.

ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა მოწინავე ჯგუფის გამოსვლებში თავი იჩინა ბოლო თვეების დაძაბულმა შრომამ, რომლის შედეგად შესრულდა რამდენიმე ახალი ურთულესი ილეთი.

უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება თავისუფალ ვარჯიშს, სადაც სპორტსმენებმა წარმოგვიდგინეს გამართული წელით მალაყი 720-გრადუსიანი ბრუნით (ნ. მაკალათია და ი. ნინოშვილი), ორძელზე — გამართული წელით უკუმალაყი ჩამოხტომაში 360-გრადუსიანი ბრუნით (მ. ბოგუსი და ი. ნინოშვილი); ქალებში — ქვედა ძელზე უკუტრიალით სხლეტა 360-გრადუსიანი ბრუნით, თავისუფალ ვარჯიშში — გამართული წელით მალაყი 360-გრადუსიანი ბრუნით (რ. ბერიკაშვილი, მ. ჩაჩხიანი, ლ. გათენდაშვილი).

სასიხარულოა, რომ ჩემპიონატში იშვიათად ნახავდით ღერძიდან, ორძელიდან თუ რგოლებიდან უბრალო, შაბლონურ ჩამოხტომას. ორმაგი მალაყი, მალაყი 360-გრადუსიანი ბრუნით... აი, ელემენტები ჩამოხტომისას, რომლებიც სულ უფრო მტკიცედ იკიდებენ ფეხს ჩვენი ტანმოვარჯიშეების არსენალში.

დასანანია, რომ საქართველოს ჩემპიონატი დაემთხვა სსრ კავშირის ფიზკულტურის კოლექტივთა პირველობას, რის გამოც „სპარტაკისა“ და „განთიადის“ ტანმოვარჯიშეებს რესპუბლიკურ ასპარეზობაში გამოსვლის საშუალება არ მიეცათ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დაიწყება სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობები, ხოლო ნოემბრის მეორე ნახევარში ტანმოვარჯიშეები ტაშკენტში, საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოიყრიან თავს.

ო. ქორქია,
სპორტის ოსტატი.

ფეხბურთი

# „გერმანელთა გუნდი ძალზე ძლიერია“

„გერმანელთა გუნდი ძალზე ძლიერია. მას რამდენიმე საუცხოო ოსტატი ჰყავს, ყველა ფეხბურთელი სწრაფი და ფიზიკურად ძლიერია. ამ გუნდმა უკანასკნელი წლების მანძილზე შესამჩნევად აიმაღლა კლასი“,—ასე დაახასიათა ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები ინგლისელთა განთქმულმა მეკარემ ბენქსმა.

გდრ-ის ნაკრები აგვისტოდან მოყოლებული ინტენსიურად ვარჯიშობს. მან სექტემბერში თავის მინდორზე ჩაატარა 3 ამხანაგური მატჩი და სამივე „მშრალი“ ანგარიშით მოიგო: არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან — 6:0, რუმინეთთან — 2:0, პოლონეთთან — 2:0. ამას გარდა, გერმანელებმა წარმატებით ჩაატარეს ტურნე შვეციაში.

ხვალინდელი მატჩით მოსკოვში გდრ-ის ნაკრები, რომელსაც წვრთნის განთქმული უნგრელი სპეციალისტი კ. შოოში, ამთავრებს მზადებას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის. კ. შოოშმა დაასახელა ის 15 ფეხბურთელი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრებთან შესახვედრად ემზადებოდნენ: მეკარეები — ბლოხვიტცი და ცულკოვსკი; მცველები — ფრესდორფი, ვალტერი, ჰაისლერი, ფაისტერი; ნახევარმცველები — ერლერი, პანკაუ, კერნერი, ირმშერი; თავდასხმა — რ. დუკე, ნელდნერი, ფრენცელი, ფოგელი, შტაინი.

მოსკოვში არ გამოვლენ გუნდის კაპიტანი ურბანჩიკი და ცნობილი სნაიპერი პ. დუკე.

მწვრთნელი აქებს მეკარე ბლოხვიტცს. სტაბილურად, საიმედოდ თამაშობს მარჯვენა მცველი ფრესდორფი. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელმა ელ-სერეიმ თქვა, რომ ფრესდორფი ინგლისელთა განთქმულ მცველ კოენზე უფრო ძლიერად მიაჩნია. ცენტრალური მცველები ვალტერი და პანკაუ ზონას იშვიათად შორდებიან, მაგრამ გვერდითი მცველები ხშირად ერთვიან იერიშებში. მარცხენა მცველი ჰაისლერი ნაკრების ერთ-ერთი გამოცდილი წევრია.

გერმანელთა ნახევარდაცვის წყვილი — კერნერი და გუნდის კაპიტანი ერლერი დიდი დიაპაზონით მოქმედებენ. განსაკუთრებით გამოირჩევა ერლერი, რომელსაც მაღალი ტექნიკა და ზუსტი გადაცემები აქვს. მოსკოვის მატჩი ერლერისთვის საიუბილეოა ნაკრებში — მეორმოცე.

გერმანელთა თავდასხმის ოთხეული უმეტეს შემთხვევაში ასე გამოიყურება: რ. დუკე — ნელდნერი — ფრენცელი — ფოგელი. პეტერ დუკეს ძმა როლანდი გუნდის ვეტერანია (31 წლის), წარმატებით გამოდის ორივე ფრთაზე. მანევრული, ტექნიკური ცენტრალური თავდამსხმელები ნელდნერი და ფრენცელი კარგი შედეგიანობით გამოირჩევიან. მარცხენა ფრთაზე სწრაფი და ენერგიული ფოგელი, რომელსაც ძლიერი დარტყმაც აქვს.

გერმანელთა გუნდი იყენებს ტაქტიკურ ვარიანტს 4—2—4, აქცენტით შეტევაზე. ნაკრების რამდენიმე წევრს აქვს საბჭოთა ფეხბურთელებთან შეხვედრის გამოცდილება. ერლერი, ვალტერი, ჰაისლერი, პანკაუ, ნელდნერი და ფოგელი თამაშობდნენ ვარშავის მატჩში, რომელშიც გდრ-ისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ. მატჩი გერმანელებმა მოიგეს ანგარიშით 4:1.

# თურქეთში, უეფა-ს ტურნირზე

1967 წლის 5-13 მაისს თურქეთში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. აი, შეჯიბრების კენჭისყრის შედეგები:

**I ჯგუფი:** ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის გამარჯვებული, პოლონეთი, ბელგია, თურქეთი.

**II ჯგუფი:** გფრ-სა და ჩრ. ირლანდიას შორის გამარჯვებული, საფრანგეთსა და შვეიცარიას შორის გამარჯვებული, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის გამარჯვებული, ავსტრია.

**III ჯგუფი:** გდრ, რუმინეთი, სსრ კავშირი, შვეცია.

**IV ჯგუფი:** პორტუგალიასა და ესპანეთს შორის გამარჯვებული, ალბანეთსა და იუგოსლავიას შორის გამარჯვებული, შოტლანდიასა და ინგლისს შორის გამარჯვებული, იტალია.

შესარჩევი თამაშები უნდა დამთავრდეს 1 აპრილამდე.

# გაზრობათა თასზე

**ლოზანა.** გათამაშების მეორე წრის პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიის „ლოზანა“ და ინგლისის „ბერნლი“. ანგარიში ლოზანელმა ფეხბურთელებმა გახსნეს, მაგრამ სტუმრებმა შესვენებამდე ორი საპასუხო გოლი გაიტანეს, შემდეგ კი „ბერნლის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ლოქჰიდმა მესამედ აიღო „ლოზანის“ კარი — 3:1

**ამსტერდამი.** ადგილობრივი „დეს ამსტერდამი“ შეხვდა ინგლისის „ლიდს იუნაიტედს“. პირველ ნახევარში ინგლისელებმა ბრემნერმა და იოჰანესენმა 2 გოლი გაიტანეს. შესვენების შემდეგ მოწინააღმდეგეთა კარი თითოჯერ იქნა აღებული. გაიმარჯვა „ლიდს იუნაიტედმა“ — 3:1.

(საქ. ინფ.).

# „ლივერპულის“ წარმატება

ოთხშაბათს ბრიუსელში (ბელგია) ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მესამე, დამატებით მატჩში შეხვდნენ ინგლისის „ლივერპული“ და პლოეშტის „პეტროლული“ (რუმინეთი). პირველი შეხვედრა მოიგეს ინგლისელებმა — 2:0, მეორე — რუმინელებმა — 3:1.

ინგლისელთა სწრაფი გარღვევების შემდეგ „პეტროლულის“ კარი რამდენიმეჯერ გადარჩა აშკარა გოლს, მაგრამ მე-13 წუთზე კანტის გადაცემიდან სენტ-ჯონმა უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. შემდეგ მარცხენა გარემარბმა ტომპსონმა 15 მეტრის მანძილიდან მეორედ აიღო „პეტროლულის“ კარი და „ლივერპულმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა — 2:0.

(საქ. ინფ.).

# მოკლედ

**ვენა.** ავსტრიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ე. ფრივირტმა ეროვნულ ფედერაციას სთხოვა გაათავისუფლოს იგი თანამდებობიდან.

**ლისაბონი.** პორტუგალიის ნაკრების საუკეთესო მცველი, მოზამბიკელი ზანგი ვისენტე, რომელიც ცნობილი იყო როგორც პელეს წინააღმდეგ თამაშის სპეციალისტი, სამუდამოდ გამოეთხოვა ფეხბურთს. იგი საავტომობილო კატასტროფაში მოყვა და თითქმის მთლიანად დაბრმავდა.

**რომი.** სანამ იტალიის ეროვნული ფედერაცია ნაკრების მთავარ მწვრთნელს დანიშნავდეს, გუნდს უხელმძღვანელებს ფ. ვალკარეჯი, რომელიც აქამდე სათავეში ედგა პირველი ლიგის სხვადასხვა გუნდს.

ფეხბურთი



წამიც და, ჩოგანს ბურთი მოსხლტება.

ფოტოეტიუდი ბ. ქვათაძისა.




▲ **უტრეხტი.** აქ დამთავრდა ჰოლანდიის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ყველა პირველი ადგილი უცხოელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ: ვაჟთა ერთეულებში — ჩ. ბარნესი (ინგლისი). ქალთა ერთეულებში — მ. ლუჟოვა (ჩეხოსლოვაკია), შერეულ წყვილებში — საბჭოთა სპორტსმენები ზ. რუდნოვა და ა. ამელინი (ფინალში მათ დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები მ. ლუჟოვა და ვ. მიკო — 17:21, 21:18, 21:17, 21:14), ქალთა წყვილებში — უნგრელები ე. კოციანი და ე. იურიკი. ვაჟთა წყვილებში — ჩეხოსლოვაკიელები — ვ. მიკო და ი. სტანეკი. ქალთა წყვილებში II ადგილზე გავიდა ზ. რუდნოვასა (სსრ კავშირი) და კ. ლანგის (გფრ) დუეტი.

▲ **სოფია.** ბულგარეთის მძლეოსანთა პირად პირველობაში 2 ეროვნული რეკორდი გაუმჯობესდა. ერთის ავტორია რ. ცონევი, რომელიც 779 სანტიმეტრზე გადახტა, ხოლო მეორისა — ს. სტოიკოვი. 15 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მან აჩვენა 1:10.26,8.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 68418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

11 უე 12835